რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების ზოგიერთი ასპექტი

SOME ASPECTS OF MODERN METHODS OF TEACHING RUSSIAN AS A FOREIGN LANGUAGE

ლაურა გურული

Laura Guruli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ინტერაქტიური ტექნოლოგიები, სიტუაციის მოდელირება, ზღაპარი, იმიტირებული პროცესი

Keywords: interactive technologies, situation modeling, fairy tale, simulated process

სწავლების მრავალ პრინციპს შორის, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა სამეტყველო-გონებრივი აქტივობის ფორმირებასა და გააქტიურებაზე, განსაკუთრებული ადგილი უკავია სასწავლო მიზნების გლობალურობის პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს სამი ძირითადი მიზნის მიღწევას: საგანმანათლებლო, პრაქტიკული და აღმზრდელობითი. სხვადასხვა სახის ცოდნის, საკომუნიკაციო და სამეტყველო უნარ-ჩვევების შეძენა, ასევე პიროვნების ჩამოყალიბება – ეს ის პრინციპებია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასწავლო პროცესში. უცხო ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია, მივმართოთ ინტერაქტიულ ტექნოლოგიებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურობას აუდიტორიაში, აჩენს პასუხისმგებლობას სასწავლო პროცესის შედეგების მიმართ. სწავლების ასეთი მეთოდების გამოყენებისას სასწავლო პროცესის ყველა მონაწილე – სტუდენტები და მასწავლებელი – ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, ახდენენ სიტუაციების მოდელირებას ურთიერთდახმარების ატმოსფეროში. მოსწავლის გამოცდილება სასწავლო შემეცნების ძირითად წყაროს წარმოადგენს. მასწავლებლის ამოცანაა, უზრუნველყოს შესაძლებლობები მოსწავლეებში ისეთი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, როგორებიცაა დამოუკიდებლობა, კრეატიულობა, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა მათ არჩევანსა და საქმიანობის შედეგებზე. მეთოდისტების აზრით, თითოეულ გაკვეთილს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული კონკრეტული მიზნები. ამ თვალსაზრისით, ზღაპრები, როგორც სასწავლო პროცესის ძირითადი ტექსტი, წარმოადგენს უმდიდრეს მასალას ცხოვრებისეული სიტუაციების განხილვისათვის ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტების უცხო ენის სწავლების პროცესში. ჩვენ გამოვიყენეთ ზღაპრები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან მუშაობისას. წაკითხულ ზღაპარში სტუდენტებს უნდა ეპოვათ კანონის რაიმე დარღვევა და მისთვის იურიდიული კვალიფიკაცია მიეცათ. სტუდენტებმა გაინაწილეს

მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის და ა.შ. როლები, ანუ შექმნეს სასამართლო პროცესის იმიტაცია. ჩვენი გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეების მომზადება იმ სიტუაციისთვის, რომელიც მათი მომავალი პროფესიის ნაწილია. ზღაპრის გმირების მომავალმა სასამართლო პროცესმა მონაწილეებში პროფესიული ინტერესი გამოიწვია. თამაშის სახით გაკვეთილს ჰქონდა კონკრეტული საგანმანათლებლო მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალი სპეციალისტების საკომუნიკაციო კულტურის ამაღლებასთან. იმავდროულად, სასამართლო პროცესი – თამაში სტუდენტებისგან მოითხოვდა თეორიულ ცოდნას იურისპრუდენციის სფეროში, ასევე მეტყველების ოფიციალურ-საქმიანი ლექსიკისა და სამეტყველო ეტიკეტის ცოდნას. ყველა სტუდენტი მოემზადა სასამართლო პროცესისთვის და აქტიურად ჩაერთო მასში. არასტანდარტულმა გაკვეთილმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალისხმევის გაერთიანებას საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ზღაპრის გმირების, რომლებიც თავს მეგობრებად თვლიდნენ, კონფლიქტი წარმოდგენილ იქნა განხილვაზე, რაც არა მხოლოდ საშუალებას აძლევდა სტუდენტებს, გამოეჩინათ ცოდნა იურიდიული კანონების შესახებ, არამედ დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია თემაზე „როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეგობარი“, რომელიც თავად სტუდენტების ინიციატივით გახდა განხილვის საგანი.

ლიტერატურა:

Алексидзе М., Гурули Л. (2022). Читаем, думаем, обсуждаем: учебное пособие по русскому языку, Тбилиси: Универсал.

Барсукова О. (2010). Русская народная сказка как инструмент формирования коммуникативной компетенции иностранного учащегося, Русский язык за рубежом, №2, 28-35, Москва: издательство «Русский язык».

Пассов Е., Кибирева Л., Колларова Э. (2007). Концепция коммуникативного иноязычного образования (теория и ее реализация): методическое пособие для русистов, СПб.: Златоуст.

Among the many principles of teaching aimed at the formation and activation of the speech-cogitative activity of students, a special place is occupied by the principle of global learning objectives, which ensures the achievement of three main goals: educational, practical and educational. The acquisition of various kinds of knowledge, communication and speech skills, as well as the formation of personality are the principles that play a significant role in the learning process. In the classroom for teaching a foreign language, it is important to turn to interactive technologies, which ensures the activity of each student in the classroom, brings up responsibility for the results of the educational process. With such teaching methods, all participants in the educational process – students and teachers – interact with each other, simulate situations in an atmosphere of mutual support. The student's experience serves as the main source of learning knowledge. The task of the teacher is to provide opportunities for the formation and development of such personality traits in students as independence, creativity, communication, responsibility for their choice and results of activities. According to the methodologists, each lesson should have clearly defined specific goals. From this point of view, fairy tales as the main text for teaching are the richest material for considering life situations in the process of language training of students of any specialties. We used fairy tales when working with law students. The students had to find any violation of the law in the read fairy tale and give it a legal qualification. The students distributed among themselves the roles of a judge, lawyer, prosecutor, etc., in other words, they imitated the trial. The purpose of our lesson was to prepare students for the situation that is part of their future profession. The upcoming

trial of the characters of the fairy tale aroused professional interest among the participants. The lesson in the form of a game had specific educational goals related to improving the communicative culture of future specialists. At the same time, the trial game required students to have theoretical knowledge in the field of jurisprudence, as well as knowledge of official business vocabulary and speech etiquett. The conflict of the characters of the fairy tale, who considered themselves friends, presented for discussion, not only enabled students to show knowledge of legal laws, but also allowed them to fix their own position in relation to the topic "What a real friend should be", which became the subject of discussion on the initiative of the students themselves.

References:

Алексидзе М., Гурули Л. (2022). Читаем, думаем, обсуждаем: учебное пособие по русскому языку, Тбилиси: Универсал.

Барсукова О. (2010). Русская народная сказка как инструмент формирования коммуникативной компетенции иностранного учащегося, Русский язык за рубежом, №2, 28-35, Москва: издательство «Русский язык».

Пассов Е., Кибирева Л., Колларова Э. (2007). Концепция коммуникативного иноязычного образования (теория и ее реализация): методическое пособие для русистов, СПб.: Златоуст.